

# ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №18/23

2019 წლის 27 აგვისტო

ქ. ფოთი

**„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №6/41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის, საკრებულო ადგენს:

### **მუხლი 1**

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №6/41 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 27/12/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.111.016359) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ე) უზრუნველყოფს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროს მიკუთვნებული იურიდიული პირების ზედამხედველობასა და საქმიანობის კოორდინაციას.“.

### **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ფოთის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ირაკლი კაკულია

